დანართი N3

განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურა უნდა მოიცავდეს:

არანაკლებ 70 ავტომობილზე გათვლილ ავტოსადგომს, არანაკლებ 3985 კვ.მ. ფართობის (რომელიც არ მოიცავს სველი წერტილების, დერეფნ(ებ)ის, კიბის უჯრედის და ლიფტების ფართობს) მქონე გარემონტებულ (რომელიც მოიცავს შენობის გარე პერიმეტრის IP კამერებით სრულად აღჭურვას, შენობის უწყვეტი დენის წყარო - გენერატორით და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემ(ებ)ით უზრუნველყოფას, ინდივიდუალური გამრიცხველიანებით უზრუნველყოფილ ელექტროგაყვანილობას, ბუნებრივი აირის გაყვანილობას და წყალგაყვანილობას, თითოეულ სართულზე, საერთო გამოყენების არანაკლებ 2 (ორი) ერთეულ სველ წერტილს (1 ქალის და 1 მამაკაცის, თითოეული არანაკლებ 2 კაბინიანი, მოპირკეთებული ფილებით, მოწყობილი ხელსაბან(ებ)ით და უნიტაზ(ებ)ით), სამ სართულიანზე მეტი შენობის შემთხვევაში, არანაკლებ 2 ერთეულ, თითოეულ 8 პერსონაზე გათვლილ ლიფტს, როგორც ოფისის, ასევე, თითოეული ოთახის გათბობა-გაგრილების სისტემით და მაღალი სიხშირის ბოჭკოვანი ინტერნეტით და WI_FI-ით უზრუნველყოფას, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს დანართი №4-ით გათვალისწინებულ სასერვერო ოთახთან (ამასთან, თითოეულ ოთახში (გარდა სველი წერტილისა) უნდა იყოს არანაკლებ 2 ერთეული ინტერნეტ წერტილი და 2 ერთეული დენის წყარო, დამატებით 1 პერსონაზე არანაკლებ 2 ერთეული ინტერნეტ წერტილი და 2 ერთეული დენის წყარო) და დამოუკიდებელი შესასვლელით და არანაკლებ 1 სახანძრო უსაფრთხოების გამოსასვლელით უზრუნველყოფილ, იზოლირებულ საოფისე შენობა-ნაგებობ(ებ)ს (რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს: დანართი №4-ით განსაზღვრული რაოდენობისა და პარამეტრების მქონე სივრცეებს).